ქ. თბილისში, კ. აფხაზის (ყოფ. ლესელიძის) ქ. №29-ში მდებარე შენობისა და მიმდებარე განაშენიანების არქიტექტურულ-მხატვრულ თავისებურებათა შეფასება და ანალიზი და რეკომენდაციები განსახორციელებელ სამუშაოებზე

თბილისი

2019


ობიექტი, რომელიც ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს, მდებარეობს ქ. თბილისის ისტორიულ ნაწილში, კოტე აფხაზის ყოფ. ლესელიძის ქ. №29-ში.

უძველესი დროიდან თბილისი რამდენიმე განსაზღვრული უბნისაგან შედგებოდა. ქალაქის ძირითად ბირთვს ქმნიდა კალა, ისნი და ტფილისი, რომელთა ფარგლებშიც ვითარდებოდა ძირითადი ქალაქი. ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: "ხოლო ტფილისი არს სამი ქალაქი: ტფილისი, კალა, ისნი. ჰყოფს მტკვარი კალას, ტფილისს და ისნს: კალას უდის ჩრდილოით-აღმოსავლეთ, ტფილისს – ჩრდილოით და ისნს დასავლით". მოგვიანებით, 1807-1808 წლებში რუსი მოგზაური, კლაპროტი იმასვე ამბობს: "ტფილისი განიყოფება სამ ნაწილად: საკუთრივ ტფილისი ანუ ძველი ქალაქი, სადაც ცხელი აბანოებია, მტკვრის სამხრეთ-აღმოსავლეთით, უმნიშვნელო მცხოვრებთა რიცხვით; კალა ანუ ციხე, პირველი ნაწილის ჩრდილოეთით და მდინარის დასავლეთით, ქალაქის ყველაზე უფრო დასახლებული ნაწილი; დაბოლოს, გარეუბანი ისნი, რომელსაც ორი პირველი ნაწილისაგან ჰყოფს ერთადერთი ხიდი მდინარე მტკვარზე". აქედან კარგად ჩანს, რომ სახელწოდება "ტფილისი", იმავდროულად ქალაქის ერთ-ერთ უბანსაც აღნიშნავდა. ვახუშტი ბატონიშვილი მოგვითხრობს: "ხოლო აწ უწოდებენ ოთხავ ქალაქთა აწ ტფილისს და განყოფით: კალას ტფილისსა, ტფილისს – სეიდაბათს და ისნს – ავლაბარს, და გარეთ-უბანი არს ტფილისსა".

საინტერესოა, რომ თავდაპირველად სწორედ ცხელი წყლით განთქმულ ადგილს ერქვა ტფილისი, პირველი დასახლებაც აქ ჩასახულა. მემატიანე მოგვითხრობს: "აიყარა მეფე სპარსთა, და უკუდგა რუსთავად, და გამოვიდეს იგინი განთიად და დადგეს ველსა კალაისასა, რამეთუ ტფილისიცა და კალაიცა მოოხრებული იყო მაშინ" ("ქართლის ცხოვრება"). აქ ლაპარაკია თბილისის ორ ნაწილზე: ტფილისზე და გალავანშემოვლებულ კალაზე.

ჯერ კიდევ ფეოდალური თბილისის სრულყოფილად წარმოდგენაში, ჩვენამდე მოღწეული გრაფიკული მასალა გვეხმარება. მათ შორის მეტად საინტრესოა ფრანგი მგზაურის შარდენის თბილისის ჩანახატი და ვახუშტი ბაგრატიონის მიერ 1735 წელს შედგენილი გეგმა, რომელზეც ციხე და ციხის მეიდანი აღნიშნულია. შიდა და გარე გალავნის კედლებში ქალაქის ჭიშკრებია

დატანილი. სწორედ დაბალი ციხის გარშემო ჯგუფდება ქალაქის უმთავრესი ნაწილები, როგორიცაა სეიდაბადი და ქალაქის ცენტრი – კალა. ჯერ კიდევ ამ მასალაზე გარკვევით იკითხება ქალაქის მომავალი განვიტარების ხაზები: ნარიყალა რჩება სილუეტურად ქალაქის მნიშვნელოვან დომინანტად, მაგრამ ის ქალაქის გეგმარების განმსაზღვრელი აღარაა. ამას ადასტურებს კალას უმთავრესი ქუჩების მდებარეობა, რომელიც მდინარის პერპენდიკულარულად არის მიმართული.



თბილისის გეგმა შედგენილი ვახუშტი ბაგრატიონის მიერ. 1735 წელი



თბილისის პანორამა შარდენის წიგნიდან. 1671 წელი

ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემო, მხატვრულ-არქიტექტურული თვალსაზრისით ღირებული შენობათა საკმაოდ მაღალი კონცენტრაცია, თავად ქუჩის სიძველე განსაზღვრავს არამხოლოდ კონკრეტული მონაკვეთის, არამედ უბნის მაღალ მხატვრულ ღირებულებას. სწორედ ამჟამინდელი ლესელიძის ქუჩის დასაწყისში მდებარეობდა ქალაქის ერთ-ერთ მთავარი კარიბჭე "კოჯრის კარი". შესაბამისად ლესელიძის ქუჩას სტრატეგიული მდებარეობა მისი განაშენიანების ფუნქციურ ხასიათში გამოვლინდა: ერთმანეთის გვერდიგვერდ განთავსებული სხვადასხვა რელიგიების სამლოცველოები, ბაზრები, დუქნები თუ მცირე მოედნები ერთი მთლიანი მორფოლოგიით ხასიათდება, რაც უბნის კოლორიტსა და მომხიბვლელობას განსაზღვრავს.




ლესელიძის ქუჩა. საარქივო ფოტო. XX ს-ის დასაწყისი

საკვლევი ობიექტის ისტორია

პირველი, საც საკვლევი ობიექტის იდენტიფიცირებისთვის გაკეთდა, ცენტრალური საისტორიო არქივის დამუშავება იყო, სადაც სამწუხაროდ არ აღმოჩნდა არანაირი გრაფიკული მასალა შენობის შესახებ. შესაბამისად მასზე მეტნაკლები ინფრმაციის მოძიება საარქივო ფოტო მასლისა და ძველი რუკების საშულებით შევძელით.

თბილისის ისტორიული რუკების დამუშავებისას, ნათლად გამოიკვეთა უბნის ურბანული ქსოვილის განვითარების ისტორია.





1867 წლის რუკა. დეტალი. ცენტრალური საისტორიო არქივი.

1867 წლის რუკაზე მკაფიოდ იკითხება ამჟამინდელი კოტე აფხაზის ქუჩის ხაზი, რომელიც თანდართულ ექსპლიკაციაში პოლიციელის (პოლიცეისკაია) ქუჩად არის აღნიშნული. ქუჩას კვეთს რამოდენიმე ჩიხი თუ გამჭოლი მცირე ზომის ქუჩა, რომელთა იდენტიფიცირება დღევანდელ ქუჩათა ქსელთან იდენტურია. მათ შორის მდებარეობს მრჯვნივ შემავალი უსწორმასწორო მცირე ზომის ქუჩა,

რომელიც განაშენიანების სიღრმეში რამოდენიმე დაქსაქული ქუჩათა ერთობლიობით მოედნად იკვრება. აღნიშნული ქუჩა წარმოადგენს სწორედ დღევანდელ ვახტანგ ბერიძის ყოფ. ხოდაშენის ქუჩას, შესაბამის ექსპლიკაციაში მონიშნული როგორც докторский переулок.


ცხადია სურათი მომდევნო წლების რუკებზე არ იცვლება. საკვლევი ტერიტორიის ადგილი, რაიმე მნიშვნელოვან ობიექტად არ არის აღნიშნული. მასზე არ არის დატანილი რაიმე სტრატეგიული ობიექტი, ნათელი ხდება რომ მონაკვეთი ტიპურ განაშენიანებით იყო დატვირთული

სამწუხაროდ სხვადახვა არქივების დამუშავების შედეგად, ვერ მივაგენით მასალას, სადაც აღნიშნული შენობა იქნებოდა აღბეჭდილი. შესაბამისად საარქივო პანორამული XIX-XX ს-ის ფოტოების დამუშავების შედეგად გარკვეულ შედეგამდე მივედით.




თბილისის ისტორიული ფოტო. XIX-XX ს-ის მიჯნა. დეტალი.

აღნიშნულ მასალაში ნათლად იკითხება საერთო განაშენიანების სტრუქტურაში ჩართული შენობა: სწორკუთხა ფორმის მოცულობა, რომელიც სიღრეში ღია აივნებით ეხსნება შიდა ეზოს. შენობა ორსართულიანია, სავარაუდოდ ფასადის მხარეს სწორკუთხა ბლოკით, რომელზეც სარმლებია გაჭრილი.



თბილისის ისტორიული ფოტო. XIX-XX ს-ის მიჯნა. დეტალი.

თუმცა დაკვირვებისას ჩნდება, რომ შენობა ძირითადი ფასადით არ ეხსნება ქუჩას. მეორე ფოტოზე, რომელიც ოდნავ სხვა რაკურსით არის გადაღებული, მის წინ სავარაუდოდ ერთსართულიანი შენობის სახურავი მოსჩანს.



თბილისის ისტორიული ფოტო. XIX-XX ს-ის მიჯნა. დეტალი.

სურათი იცვლება საკვლევი მონაკვეთის ზედა ხედვის წერტილით აღბეჭდილ ფოტოზე დაკვირვებისას. იდენტიფიცირებული შენობა, მის წინ დატოვებული სივრცე შედარებით დაბალი შენობის სახურავისა ჩანს, ხოლო ხოდაშენის ქუჩის მხარეს, შენობის ზურგზე მობჯენილი შედარებით მაღალი შენობის კედელი მოსჩანს. ნათელი ხდება, რომ ჩვენს საპროექტო მონაკვეთზე იმ დროისათვის რამოდენიმე დამოუკიდებელი შენობა მდგარა. აღნიშნული მასალის გაანალიზებისას ჩნდება რომ ნაგებობებს შორის ურბანული მეზობლობა არსებობს, თუმცა მათ კომპლექსურობაზე საუბარი არ არის.



თბილისის ისტორიული ფოტო. XX ს-ის დასაწყისი. დეტალი.

XX ს-ის დასაწყისის ფოტოზე, ღია აივნებით გახსნილი შენობა მკაფიოდ იკითხება. მარცხენა მონაკვეთში II სართულზე ასასვლელი კიბის უჯრედიც მოსჩანს. ცხადია რომ მის უკან არსებული კედელი და აივნებიანი მონაკვეთი ერთ შენობას წარმოადგენს. თუმცა მის მარცხნივ ხოდაშენის ქუჩის მხარეს სხვა მოცულობა იკითხება. ის რომ ეს დანამდვილებით სხვა შენობაა, ამას ადასტურებს კედელზე სახურავის ჩრდილი. შესაბამისად ეს აშკარად სხვა მოცულობაა. აღნიშნულ ფოტოზე დაკვირვებისას, დღევანდელი კოტე აფხაზის ქუჩის მხარეს არსებული ერთსართულიანი შენობა აღარ ჩანს. არსებული

ტერიტორია აშკარად ეზოს გავს, რომელიც დაბალი ღობით იფარგლება. თუმცა დღევანდელი ხოდაშენისა და კოტე აფხაზის ქუჩათა კვეთაზე აშკარად იკითხება რაღაც მოცულობა.

სურათი ძალზედ დამაბნეველია, რადგან დღეის მდგომარეობით აქ ერთი მონილითური შენობა დგას, XIX, XX სს-ების ფოტოზე კი აქ აშკარად რამოდენიმე მცირე შენობა იკითხება. ამ მხრივ ფასდაუდებელი ინფორმაცია ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულმა 1897 წლის რუკის საფუძველზე შედგენილმა პლანშეტებმა მოგვცა.




1897 წლის რუკის მიხედვით შედგენილი პლანშეტი. დეტალი. ცენტრალური საისტორიო არქივი.

აღნიშნულ მასალაზე დაკვირვებისას, ნათელი ხდება ჩვენი საკვლევი ტერიტორიისა და ობიექტის განვითარების საერთო სურათი: დღევანდელ კოტე აფხაზის ქ. №29-ით ფიქსირებულ მონაკვეთზე რამოდენიმე ობიექტი იკითხება. ყველაზე დიდი ქუჩის ფასადიდან ოდნავ სიღრმეში განთავსებული ნაგებობაა, რომელის ძირითადი ფასადით ხოდაშენის ქუჩას ეხსნება (ეს ის შენობაა, როელიც საარქივო ფოტოებზე შიდა ეზოთი ჩნდება) ხოდაშენის ქუჩის მხრიდან მის მარჯვნივ და მარცხნივ ორი დამოუკიდებელი შენობა დგას (ფოტოებზე

არნიშნული შენობები ზურგის მხრიდან იკითხება). კოტე აფხაზის ქუჩის მხრიდან ორი მცირე ზომის შენობა ჩნდება, სავარაუდოდ ეს ის შენობებია, რომელიც საარქივო ფოტოებზე ერთსართულიან მოცულობებად მოსჩანს. ეზოს მონაკვეთი საკმაოდ დიდ ტერიტორიად არის მონიშნული, სავარაუდოდ ეს შენობის ეზოა, რომელზეც მოგვიანებით ახალი შენობა განათავსეს.
ამდენად აღნიშნული კვლევის საფუძველზე ნათელი ხდება, რომ დღევანდელი კოტე აფხაზის ქ. №29-ში მდებარე შენობა, XIX-XX ს-ის მიჯნაზე არსებულ რამოდენიმე შენობის ადგილას აშენდა. ის თუ იქნა თუ არა გამოყენებული ძველი შენობის ნაშთები ახალ მოცულობაში, ეს სტილისტურ-არქიტექტურული ანალიზის შედეგად გამოჩნდება.

საპროექტო ობიექტი

საპროექტო ობიექტი, კოტე აფხაზის ქ. №29-ში მდებარე შენობა, საკმაოდ დიდ პერიმეტრზე გაშლილი და ერთდროულად ეხსნება როგორც კოტე აფხაზის, ასევე ვ. ბერიძის (ყოფ. ხოდაშენის) ქუჩას. გეგმაში თითქმის კვარდატული ფორმის შენობაში ერთი შეხედვით საკმაოდ უცნაურად იჭრება ვ. ბერიძის (ყოფ. ხოდაშენის) ქუჩის მხრიდან ორსართულიანი ნაგებობა.



ორსართულიანი, ე.წ რუსული აგურით ნაგები შენობა, დამჯდარი პროპორციით გამოირჩევა, რომელიც ორგანულად ეწერება ქუჩის საერთო განაშენიანებაში. სტილისტურად ფსევდო კლასიცისტურ ყაიდაზე ნაგები შენობა, ერთიანი მხატვრული კომპოზიციით გამოირჩევა, რომელიც წონასწორობის პრინციპზე იგება. ორივე ქუჩაზე გამავალი ფასადი იდენტურადაა გაფორმებული. პირველ სართულზე განიერი და მაღალი სწორკუთხა ღიობები იხსნება. მათი შუაკედლისები სრულიად სადად არის გადაწყვეტილი. მეორე სართულის კედლის ძირითად ზედაპირს ანაწევრებს სწორკუთხა მოხაზულობის ფანჯრები. ღიობები ნალესობაში ამოყვანილი დეკორატიული მოჩარჩოებით იმკობა:
განიერი პროფილირებული ჩარჩო, ზემოთ ორნამენტული საჭექი ქვის იმიტაციით შემკობილი. ხოლო ფანჯრის ღიობის ქვემოთ მართკუთხა თაროებია განთავსებული.



II სართულის შუაკედლისები კორნთული ორდერის კაპიტელიანი კანელურებიანი პილასტრებით არის გაფორმებული, რმელიც ფაქტიურად ვერტიკალურ აქცენტებად ანაწვრებს ფასადის საერთო კომპოზიციას. შენობის კუთხეები რუსტით არის ფლანკირებული, რომელიც ერთგვარად კრავს კიდეც საერთო კომპოზიციას.

II სართულია ფანჯრის ღიობებს ზემოთ პროფილირებული სარტყელი მიუყვება, რომელიც ლავგარდანამდე ორნამენტულ ფრიზს ქმნის. სწორედ მასზეა განთავსებული ძლიერი მხატვრული აქცენტები - მცენარეული ორნამენტებით გაფორმებული მართკუთხა არეები და განედლებული კონსოლები. კონსოლებს "დაყრდნობილია" სადათ პროფილირებული, დეკორატიულ ლილვიანი ლავგარდანი, რომელიც ასრულებს კიდეც ფასადის საერთო კომპოზიციას.






კოტე აფხაზის ქ. №29. ფასადის დეტალი

კოტე აფხაზის ქუჩის მხარეს მარცხენა მონაკვეთში შენობაში შესასვლელი განთავსებული. ფასადის აღნიშნული ფრაგმენტი, საერთო მხატვრულ სტილისტიკას აბსოლუტურად მოწყვეტილია, რომელიც უსახური კედლით და მოგვიანო პერიოდსი ჩადგმული ლითონის საკმაოდ უხეში ნაკეთობის კარით აქცენირდება.



კოტე აფხაზის ქ. №29. ფასადის დეტაილ

ვ. ბერიძის (ყოფ. ხოდაშენის) ქუჩის მხრიდან ფასადის ანალოგიური კომპოზიცია მეორდება, რომელიც ორსართულიანი ტეხილკონფიგურაციანი შენობით გრძელდება. თუმცა მოულოდნელად ისევ ჩვენი საკვლევი შენობის მცირე ზომის ფასადით გრძელდება. აღნიშნული ფრაგმენტიც, შენობის საერთო მხატვრულ სტილისტიკასთან შედარებით ახალი დანამატია, რომელიც ვიწრო, სამსართულიანი სადა ფასადით იხსნება.




კოტე აფხაზის ქ. №29. ხედი ვ. ბერიძის ქუჩაზე

სრულიად ნათელია, რომ როგორც კოტე აფხაზის, ასევე ვ. ბერიძის (ყოფ. ხოდაშენის) ქუჩაზე არსებული დანამატები, მოგვიანო პერიოდის არის, რომელიც სტილისტურად აცდენილია შენობის მხატვრულ გამომსახველობას, თუმცა გეგმარებით კავშირშია შიდა სტრუქტურასთან.

საკმაოდ მსხვილმაშტაბიან შენობაში მოხვედრა, კოტე აფხაზის ქუჩის მხრიდან არსებული ჭიშკარიდან არის შესაძლებელი, საიდანაც საკმაოდ საინტერესო გადახურულ შიდა ეზოში ვხვდებით. მართკუთხა ფორმის შიდა ეზო სამსართულიანია, რომელიც ლითონის, საკმაოდ უხეში ნაკეთობის მცენარეულელემენტებიანი მოაჯირით იხსნება. სწორედ შიდა ეზოს გარშემო

ვითარდება შენობის ძირითადი სივრცეები, რომელთა ოთახები და დარბაზები სამუშაო ოთახებად იყო ტრანსფორმირებული.













კოტე აფხაზის ქ. №29. ინტერიერი. დეტალი

შესასვლელის მარჯვნივ და მარცხნივ, სიმეტრიულად არის განთასვებული სარდაფში ჩასასვლელი საკმაოდ პარადული კიბეები. აღნიშნული სივრცე, ერთგვარ ვესტიბულსაც კი წარმოადგენს. II სართულზე, ქუჩისპირა მონაკვეთში ერთი დიდი დარბაზი იხსნება, ხოლო სიღრმეში ერთნაირი ზომის მცირე ოთახები თავსდება.

შენობის დათვალიერების შედეგად, ნათლად ჩნდება, რომ შენობის შიდა გეგარება მის ფუნქციასთან მაქსიმალურ შესაბამისობაშია მოყვანილი (შენნობაში ბოლო დრომდე სამხედრო სამკერვალო ოყო განთავსებული). ინტერიერში არანაირი სიძველის ნიშანი არ ჩანს, ჭერი ერთიანი ბეტონის სხმულით არის გადახურული. საკმაოდ დიდი ზომის სივრცეები ლითონის სვეტებით გატიხრული. ღიობები იდენტური ხის მცირედპროფილირებული ალათებით აქცენტირებული. შენობის შიდა გეგმარებითი სტრუქტურა, XX ს-ის შუა ხანის ცვლილებას უნდა წარმოადგენდეს. სავარაუდოდ სწორედ ამ პერიოდშია გაჩენილი გადახურული შიდა ეზო, რომელიც მანმადე არსებული შენობის კონფიგურაციის ერთგვარ სახეცვლილებას წარმოადგენს.



კოტე აფხაზის ქ. №29. სარდაფი

შენობის ქრონოლოგიურ სურათს ერთგვარად ნათელს ხდის სარდაფის სართულის დათვალიერება. საკმაოდ დიდი ზომის სარდაფი ასევე რუსული აგურით არის ნაგები, საკმაოდ დიდ სივრცეებათ გაყოფილი. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს კოტე აფხაზის ქუჩის მონაკვეთი, სადაც ძველი

ქართული აგურით ნაგები, საკმაოდ პროპორციული თაღედი იხსნება. ასევე თაღებია გამოყენებული სარდაფის ქუჩისპირა კედლებზე.

აღნიშნული მასალის საფუძველზე, შესაძლებელია მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება და შენობის ქრონოლოგიური ბმის დადგენა.

როგორც შენობის მხატვრულ-არქიტექტურული, ისტორიული ანალიზის შედეგად გაირკვა, საკვლევი ობიექტი, არაერთი გადაკეთებისა და ჩარევის შედეგია, რომლის ქრონოლოგია შემდეგნაირად გამოიყურება:

პირველი პერიოდი: როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკვლევ ტერიტორიაზე რამოდენიმე დამოუკიდებელი შენობა იყო განთავსებული, მათ შორის ყველზე მასშტაბური ფოტოზე ასახული, ხის აივნებიანი ნაგებობა იყო, რომელიც ეზოს ეხსნებოდა. პირველი რეკონსტრუქცია, რომელიც აღნიშნულ ტერიტორიაზე განორციელდა, სავარაუდოდ XX ს-ის I ნახევარია, როდესაც მოხდა რამოდენიმე შედარებით მცორე ზომის საკადასტრო ერთეულის გაერთიანება, რის შედეგადაც აიგო ორსართულიანი, საკმაოდ მასშტაბური ნაგებობა, ერთდროულად გამომავალი როგორც კოტე აფხაზის, ასევე ვ. ბერიძის (ყოფ. ხოდაშენის) ქუჩაზე. როგორც ჩანს აღნიშნული რეკონსტრუქციის დროს ძველი (ხოდაშენისა და კოტე აფხაზის კვეთაზე) არსებული შენობის სარდაფი უცვლელად დატოვეს, და ახალ შენობაში მოაქციეს. აღნიშნულ რეკონსტრუქციას ემსხვერპლა რამოდენიმე მცირე შენობა, თუმცა მათგან მხოლოდ ერთის ნაშთი შემოგვრჩა სარდაფების სახით.

მეორე პერიოდი: შემდგომი რეკონსტრუქცია შენობისა, XX ს-ის II ნახევარს განეკუთვნება, როდესაც კოტე აფხაზის ქუჩის მხარეს ფასადის მარცხენა კუთხეში გადახურული ეზო ჩაშენდა. სწორედ ამ პერიოდის არის ფასადზე განხორციელებული მცირე ჩაშენებელი, როგორც აფხაზის, ასევე ვ. ბერიძის (ყოფ. ხოდაშენის) ქუჩაზე. ამავე პერიოდში მოხდა ინტერიერების განახლება, ლითონის ელემენტების განთავსება და მათ შორის ყველაზე მასშტაბური III სართულის განთავსება, რომელიც შენობის მთელ პერიმეტრზე სიღრმეში განხორციელდა. ფაქტიურად უცვლელი დარჩა ფასადისპირა ორსართულიანი ფლიგელი, ხოლო დამატებითი სართული შენობის სიღრეში განვითარდა, რამაც ნაგებობა მსხვილმასშტაბიანი გახადა.

დღევანდელი სურათით საქმე გვაქვს საკმაოდ ეკლექტურ, ძლიერ სახეცვლილ ძეგლთან, რომელმაც მიუხედავად ჩარევისა მეტნაკლებად შეინარჩუნა მხატვრულ-არქიტექტურული გამომსახველობა, სწორედ ამიტომ შენობა სრულიად სამართლიანად კულტურის უძრავ ძეგლთა ნუსხაშია.

საპროექტო მონაკვეთი და მიმდებარე ტერიტორია, მიუხედავად მოგვიანო პერიოდის ჩარევებისა, მაინც ინარჩუნებს მხატვრულ-არქიტექტურულ სახეს. შესაბამისად ნებისმიერი სახის ჩარევა, მათ შორის სარესტავრაციო თუ სარეკონსტრუქციო სამუშაოები უნდა განხრციელდეს დიდი სიფრთხილით. სამუშაოების დაწყებამდე, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია ძეგლის ადგილმდებარეობა, მისი „სპეციფიკურობა“, რადგან არამხოლოდ თავად არის ძეგლი, არამედ კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მატარებელი ძეგლებითა თუ ზოგადად ისტორული ურბანული მეხსიერებით დატვირთულ ტერიტორიაზე მდებარეობს.

უნდა აღინიშნოს, რომ შენობა საკმაოდ მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაშია და სასწრაფო დახმარებას მოითხოვს. მისი მხატვრულ-არქიეტექტურული ღირებულებიდან გამომდინარე, მასზე სარესტავრაციო სამუშაოების განხორციელებაა გათვალისწინებული.

პროექტის მიხედვით შენობის რესტავრაცია-რეკონსტრუქცია იგეგმება, რაც ცხადია უნდა განხორციელდეს დიდი სიფრთხილით და შენობის ღირებული მხატვრულ-არქიტექტურული ელემენტებისა და სტრუქტურის ანგარიშგაწევით. ვფიქრობთ გასათვალისწინებელია შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონის თანახმად, მოხდეს შენობის რესტავრაცია, სარესტავრაციო მეთოდოლოგიის სრული დაცვით. სასურველია სარესტავრაციო პროექტი განხორციელდეს რესტავრატორის მიერ (რესტავრაციის სრული მეთოდოლოგიის დაცვით განხორციელდეს სარესტავრაციო სამუშაოები. აღდგენილ იქნას ფასადის დაზიანებული დეტალები თუ ელემენტები;)
- როგორც კვლევამ აჩვენა, შენობის ინტერიერი და შიდა გეგმარებითი სტრუქტურა საფუძვლიანად არის გადაკეთებული. შესაბამისად საპროექტო სამუშაოების დაგეგმვისას მეტნაკლები “თავისუფლება” დასაშვებია;
- სასურველია შენარჩუნებულ იქნას ატრიუმი, როგორც შენობის მნიშვნელოვანი კომპომპონენტი. შესაბამისად შესაძლებლად მიგვაჩნია ატრიუმის უკანა მხრიდან “გახსნაც”, რაც სივრცობრივ აქცენტს შექმნის და ერთგავარად “შეამსუბუქებს” საერთო მასას,;

- შენარჩუნებულ იქნას სარდაფის სართულის კოტე აფხაზის ქუჩისპირა ფლიგელი. თავდაპირველი სახით აღდგენილ იქნას დაზიანებული თაღები და დეტალები;
- აუცილებელია შენობის კონსტრუქციული პროექტის მომზადება და მასზე დაყრდნობით სამომავლო სამუშაოების განსაზღვრა;
- პროექტის მიხედვით მოგვიანებით გაჩენილ სართულზე ახალი მოცულობის დამატებაა გათვალისწინებული. უნდა აღინიშნოს, რომ დამატებითი სართული შენობის სიღრმეშია განთავსებული და ქუჩის მხრიდან არ ჩნდება, თუმცა ახალი მოცულობის შემთხვევაში დიდი სიფრთხილეა საჭირო რადგან არ დაირღვეს შენობის ერთიანი მოცულობა. შესაბამისად ახალი დანამატი უნდა გაჩნდეს კორექტულად, არა როგორც შენობიდან ამოზრდილი "პარაზიტი", არამედ კორექტული, ძეგლთან შესაბამისობაში მყოფი დანამატი;
- ყურადღება გამახვილდეს ე.წ. მეხუთე ფასადზე, სახურავზე, რომელიც საკმაოდ დიდ ტერიმეტრზე იშლება. ამავდროულად გასააზრებელია **"SKY LINE"**, რომელიც საერთო განაშენიანებაში ჰარმონიულად უნდა განთავსდეს;
- შენობის ძირითად ფასადთან ერთად, გასათვალისწინებელია შენობის უკანა მხარეს არსებული ფასადიც, რომელიც ძალზედ ინტენსიურ განაშენიანებაში მდებარეობს;
- განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ხედვის წერტილებს, გათვალისწინებულ იქნას როგოც ახლო ასევე შორი ხედვის წერტილები. შესაბამისად მომზადდეს "რენდერები", რომელიც შენობის უმტკივნეულო განთავსებას.

  და ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ შენობის რესტავრაცია მისი ფიზიკური თუ ფუნქციური გაჯანსაღება ძალიან მნიშვნელოვანია, არამხოლოდ კონკრეტული ობიექტის, არამედ მიმდებარე გარემოს ფუქნციური განვითარებისათვის, თუმცა სამუშაოები უნდა განხორციელდეს დიდი სიფრთხილითა და ძეგლის მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულების გათვალისწინებით.

ხელოვნებათმცოდნე: თ. ღვინერია